

საქართველო შრომითი

იუმორისტ.
ეურნალი

№ 16

იშვიათი ვინმე



- რა ამბავია, კაცო, რისთვის ეხვევიან ამ უცხო ადამიანს.
- ამბობენ ეს კაცი ქრთამს არ იღებსო.

კავშირთა კავშირი.

12 აპრილი. 1916 წ.

უხვი და ვრცელი დარბაზი ქართული კლუბისა ელექტრონის სხივებში სტურავს, და ის სხივი, სხივი ხელოვნური, იბნევა და იფანტება ქართველი ერის სხივ-ნათელში, რომელსაც ეს დარბაზი აუფლავს.

აღდგომის მეორე დღეა. დარბაზში პასკის სუნი სდგას.

საერთო მხიარულება და რაღაც არაჩვეულებრივის მოლოდინი იხატება სახეებზე.

ოპ, ეგ სახეები, ეგ სახეები! როგორ მინდა თითოეული მათგანი აი აქ, ამ ჩემი წიგნაკის ფურცელზე მოგვითავსო, რომ მომავალმა თაობამ დაძვედოს მას და გაითავალისწინოს უდიდესი მამულიშვილური გრძნობის განცთა, რომელიც აი, თუნდაც ამ მსუქანსა და ლორთქომს სახეზე იხატება.

მოკლე შუბლი, მოკლე ნიკაბი, მოკლე უღვაშები და სქელი, საუღლე კისერი. სახეს ყოველ წუთში სცვლის ერთი მეორეზე უფრო სასაცილო გამომეტყველება. მინდა დავიჭიროო ყველა მათგანი, ან რომელიმე მათგანი, მაგრამ მე უძლური ვარ. ვხატავ გიგანოვ ლაიძეს, და, ვაი საშინელებაჲ, გამოიღოს ილა ზურაბიშვილი... პირდაპირ ბრაზი მაგიეტებს, ვერ ვიგუე ხატვის საგანი...

აი შეხედეთ თუნდ ამ მოხუცს... ენერგიული კაცის სახე აქვს, თუმცა ამოვარდნილი ლოყის ძვლები მას რაღაც ინტრიგანისა და ბოროტმოქმედის გამომეტყველებას აძლევენ.

ვცდილობ ყოველივე ეს ასე გამოვიდეს ჩემს რვეულში, მაგრამ თქვენც არ მომიკიდეთ! ჩემს რვეულში გამოხატულ სურათს ორიგინალთან მხოლოდ ნიკაბის წვეროზე ხელოვნურად შემოკავებული ერთი მუჟა წვერი ამსკავებს. მართლაც რომ ჩინებულნი ნიშანია ეს გრძელი და ვიწრო წვერი ნიკაბის ბოლოზე ამოხეთქილი! ნამდვილ საბოლალაჩინო წვერის ნაშთია და იმ წვერში რომ შემქმნოს, გამოვხატო ჩემი სურვილი! შე, მხარია, რომ ამ წვერის პატრონი ქართველი კაცია და ქართველ ხალხს ჯერ კიდევ არ დაუკარგავს წვერის პატივისცემა, რომ პატრონი ასეთი ეროვნული წვერისა არჩეულ იქნა წარმომადგენელით. რა იქნებოდა, რომ ქუ-

თათურებს ამ წინააღმდეგობრივ ირსებისათვის ყურადღება არ მიექციათ? მაშინ ჩვენ თითო ცხოვართა ფარაზედაც დაბლა ვიდგებოდნენ, ვინაიდან ცხვრებმაც იციან კარგისა და ავი წვერის ვარჩევა. მე კიდევ ვსძლევდი სხვა დაბრკოლებებს და პეტრე ყიფიანის თავს აეთ, თუ კარგით გამოვხატავდი, მაგრამ... ჩემდა საუბედუროდ მას გუშინ თავი სტკიოდა. ერთ მდგომარეობაში ვერ აჩერებდა თუნდ ერთი წუთითაც.

გრძელ წვერიანი ქართველი აქ სხვაც იყო. უფრო მორიგი და სქელი წვერი ეყარა მას, არა თუ მარტო ნიკაბზე, არამედ კბეზზედაც. მისი სახე უზომო ჭკუისა, დრმა ცოდნისა და სიღინჯის პირდაპირ უტყუარი სარკეა. ისიც ქუთაისმა მოგვცა. უხაროთ სიტყვის არ წამოისერის და თუ წამოსცდა, რათაც დაუჯდეს, ასრულებს. წინა კრებაზე, რომელსაც მე არ დავსწრებივარ, მისი მანდატი სატყუოთ ეცნათ და არ მიეღათ. ამან თურმე მასზე უზომო ვანცვიურების შთაბეჭდილება მოახდინა და ჩვეულებრივის სიმორცხვით განაცხადა:

— მივირის, ლმერთმანი, ქუთაისში ჩემზედ უკეთესი ვინ უნდა აირჩიონ, ცხადია ისევ მე ამირჩივენ. ახლანდელ არჩევნებზე საქმემ სხვანაირი მიდრეკილება მიიღო და უღლაგოთ დახარჯული სიტყვის გამოსწორება ბ-ნ კრინიციკის თურმე არც თუ ისე იაფათ დაუჯდა. როდესაც იგი კანდიდატა ხმებს ანგარიშობდა, ყველა წაიკითხავდა მის სახეზე უჩვეულო მწუხარებას. იგი სახე აშკარათ ამბობდა:

— რისთვის, რისთვის დავხარჯე ამდენი ფული? ნუ თუ იმისთვის რომ აქ ჩხირები მეთვალა და ჩემი კიტას ხსენებაც არ შემძლეოდა?

ის იმდენათ საინტერესო ტიპია, რომ მხოლოდ ქუთაისის შეუძლია აღზარდოს ეგზო უნაკლო ქართველი. მე მის სურათს სულ ცოტა, ნახევარი საათი დრო მაინც შევლოე და ნაყოფი ორიგინალურადაც არა ღირს.

საზოგადო საქმეზე დავიფიყე სჯა და კარძო პიროვნებათა აღწერამ კი მიუფლა. ეს არ შეეფერება დღევანდელ დიდებულ მომენტს. მთელი საქართველო თითის წვერზე სდგას, დღევანდელ შოთავს, აქ გამოიღობარ და ვიდაცის სურათებზე ლაპარაკობ...

ქატონმა ან. ერისთავ-ხოშტარისამ საოცრის სიტყვა-კაზმულობით დაასურათა ქართველი

ერის უკეთესი ნახევრის, სახელდობრ მანდილო-სანთა დღევანდელი სულის კეთება.

— დღეს ქალაქ გორში უკვე დარაზმულია ორმოცდა ათამდე მანდილოსანი, რომელნიც ბო-ბოქრობენ, ღელავენ და დრტვინავენ, ნაპირიდან გადმოდიანოა...

გორში ერთხელ გეახელი და არ შემოძლია ვსთქვა დღიდა ნასიამოვნები დავბრუნდი მეთქი. მაგრამ ქან ერისთავის სიტყვებზე, მიუხედავით მშვი-დობიანი მისი კილოსი, ტანში ჟრუანტელმა დამი-არა და წარბები ყალბზე ამიდგა, რადგან თმა გა-პარსული მქონდა.

მართლაც, წარმოიდგინეთ 50 მანდილოსანი დარაზმული და მობოხოქრე ჩემი მტერი ჩავარდა იმით ტალღებში... სანუგეშოთ ის შეგვიძლია მი-ვიჩნითო, რომ ეს ბოხოქრობა კულტურული მიზ-ნით არის

წარმოდგენილი იყო თითქმის ყველა კულტურულ განმანათლებელი დაწესებულება ჩვენი ქვეყ-ნისა, გარდა ქართული კლუბისა და კახეთის მეფე-ნახეთა საზოგადოებისა. სახელდობრ:

დრამატული საზოგადოება	17.
სახალხო უნივერსიტეტი	9.
სამეურნეო საზოგადოება	2.
სსაღილოები	16.
სადალაქოები	19.
სასტუმროები	11.
სამიკიტროები	27.

და სხვა და სხვ.

ერთი სიტყვით ყოველივე კულტურულ-განმანათ-ლებელი დაწესებულება. კითხვა აღიძრა მხოლოდ კოოპერატივთა მიღების შესახებ და მკირე ახო-ბოქრების შემდეგ კამათი მოისპოა, ვინაიდან საკი-თბი გამოურკვეველი დარჩა.

დაიწყო არჩევნები. ხალხი ამოძრავდა და მეც იძულებული ვახვი მხატვრობისათვის თავი მიმენე-ბებია. მარტო ქან ნინო ყიფიანისას ეკირა სავარ-გისი პოზა, მაგრამ სამწუხაროთ ჩემი ნიჭი ჯერ განვითარების იმ წერტილამდე არ ასულა, რომ მანდილოსანის სურათი დასწეროს. რამდენი ვინა-ტრე?—ახ ნეტავ პეტრე ყიფიანის წვერი, ან გიორ-გი ჟორდანისა თავის მოყვანილობა მაინც ჰქონდეს ამ ქალბატონს, რომ შრომა ვამაიდვილოს მეთქი, მაგრამ ნატვრით რომ საქმე კეთდებოდეს ქართველი კაცი ხომ ბედნიერი იქნება.

დაიწყო არჩევნები. ვუტყვი ამ ზღვა ხალხს და აღარ ვიცი რომელი მათგანს ირევრავა გამგე-ობის წევრათ. რომელი არ უარსა, მხატვრობით, მდივნათ, მოლარეთ... მივირის ეგ ხალხი ამდენს რათ წვალობს ხოლმე ამ არჩევნებზე. განა სულ ერთი არ არის ვინც უნდა იყოს? აი თუნდ ეს სამე-კუთხ თავიანი კაცი, ბეჭებში ცოტა მოხარლი, წერილ, კნავილა ხშიანი... ამდენს რო ლაპარაკობს ყუთზე ჩამოწოლილი... განა ამას აქობებს ვინმე? რავქნათ მერმე რომ მას მარტო სამი ხმა ამოუვიდა? ოპერის არტისტათ, ან ქართული სცენის სუფლიორათ ხომ არ ირჩევენ რომ ხმებს ქონდეს მთავარი მნიშვნელობა? და აი, თითონაც არ მიაქ-ცია ყურადღება ამ გარემოებას. დაიდგა ყუთი და.. უღმერთოები!!! ქე არ ვაშავეს!!!

— მიგინი უბედურება ის არის რომ გიორგი ჰქვია და არა ნოეოა.. მწუხარეთ წარმოსთქვა ვი-ლაღ პატივისცემელმა, რადგან გვარი სამკუთხ-თა-ვიანისა ჟორდანია ყოფილია. მეც გული დამწყვიტა ამ გარემოებამ. აი რა შეცდომა შეიძლება დაუშვას მღვდელ-მოამქმედმა, საიდუმლო ნათლის დების დროს. რა დაშავდებოდა იმით, რომ გიორგის ნაც-ვლად ბავშვისთვის წოე დაერქმიათ? ვინ იცის იქ-ნება ასეთ უნუგეშო მდგომარეობაში არ ჩავარდ-ნილიყო ეს ახალგაზდა.

არჩევნები გათავდა. ხალხი დაწყნარდა. მხო-ლოდ ქალები დარჩენ უმადურნი და ამოხოქრებუ-ლნი, ვინაიდან გამგეობაში არ იქნენ არჩეულნი.

ეშმაკი.



გეგუდარები.

ეშმაკო მთავარო გეგუდარები,
წითელი მელნით განამწარები,
ვერა ვაამე ლიტანიითა,
მუხლებ ნატენმა მეტანიითა.

რა მოვისმინე ლამისა წირვა,
მღვდელ დიკონმა გლახ გამაკირვა,
შენსვენ მოვრბოდი მოსალოცათა,
წუხელ, ამბებით გასაოცათა.

მაგრამ აქ შემხვდა ვილაც ქართველი,
ჯიბეს გაიკრა საჩქაროთ ხელი,
მარჯვნივ იშვლივა საწერ-კალამი,
არც კი მაცალა მეძღნვა სალაში.

მარცხნივ რალაცა შუშით წითელი,
ნაწერ ქალაღლხედ დასაიხთელი,
მითხრა: სად მირბე შე სატანაო,
ამბავი მიგაქვს ეშმაკთანაო?!

მითხრა და კალმით იგი წითელი,
ენახე წამცხო, მოსპო სათქელი,
ვერ მოგილოცე ქრისტეს აღდგენა,
წითელი კალმით დამიჭრეს ენა.

დილა ეშმაკო, გეგუდარები,
შენის მათრახით მომეხმარები,
თუ სადმე ნახო იგი ქართველი,
მათრახის კუღით გაუთბე წელი.

ან. განჯის-ქარელი.

ზატარა ფელეტონი.

„გაქვივრება მიჩენენ,
გაქცევას გიჩვენებ“

ხალხ. ანდაზა.

სოფ. ბოხი, 7 პარისს სასაფლო ყრილობამ
დაადგინა: მოსპოს „პასკენის“ ცხობა, როგორც
ჩვეულ ება, წინა კრებზე მოსპო ტირილი
ქორწილი და საკუთობები*.

გან. „ხობობი“ № 24.

წინეთ ამბობდენ:—ქართველი ხალხი, რო-
გორც კულტურის კიბის ქვემარე საფეხურზე მდგო-
მარე, ადვილით ვერ ეგუება ცხოვრების ცვალება-
ლობას და მისგან ძლეული გამოდისო.

ეს მტენარი სიკრუე გამოდგა. დღევანდელი
მომენტი ისეთი ეგზამენია, რომელშიც ბევრი ხალ-
ხი ჩაიჭრა და თუ ქართველი კაცი მის გადაურჩა
ეს კულტურული კიბის სულ სხვა საფეხურის მა-
ჩვენებელია.

მაგალითისთვის ავიღოთ სოფ. ბოხი. ეს პა-
ტარა, მაგრამ მშვენიერი დაბა მდებარეობს სოფ.
მუნეთის აღმოსავლეთით რვა ვერსის მანძილზე,
პდინარე ბაძაკურას პირად, კარკოტანა მთის სამ-
რეთ ფერდობებზე. ვერ წარმომიდგენია ქართველი
კაცი, რომელსაც ქ. ხონჩიდან ბირლუში უმგზავ-
რება, ეს დაბა არ ენახოს.

რამის დაწყებისთანავე აუტანელი სიძვირე გა-
მეფდა სოფ. ბოხის არე- მარეში და ყოველივე
კულტურულ დაწესებულებას, (გარდა ერთი ხილისა)
მოკლებული სოფელი უნუგეშო მდგომარეობაში ჩა-
ვარდა. სწორეთ ამ დროს გარდაიცვალა (ვერავუ-
ლი სიკვდილისაგან) დამსახურებული პრინტერი
ათანასე ხაფენგაძე. ხალხი ადულდა და გადასწყვიტა
ყრილობა-ს მოწვევა. მართლაც 22 ივლისს 1914
წელს შესდგა ყრილობა, რომელშიც დაადგინა:
საუკუნოდ მოსპოს ალაპით ტირილი, რაიც უზო-
მო და უსარგებლო ხარჯს იწვევს და უნუგეშო
მდგომარეობაში აგდებს ისედაც დაობლებულ ოჯახს
მის შემდეგ სოფ. ბოხში თითქმის არაეინ მომკვდა-
რა.

სიძვირე დღითი დღე მატულობს. მოსავალი
მცირდება. სწორეთ ამ დროს დაინიშნა თენგიზ
წვერაძის ქალი, ღაფო, აზნაურ კიკიბო რიკაძეზე.
ძველებური ქორწილი უკვე გამზადებული იყო,
მაგრამ ხალხის გონიერებამ დაასწრო.

27 ოქტომბერს 1914 წლისას შესდგა სოფ-
ლის ყრილობა, რომელშიც დაადგინა: „მოსპოს
ქორწილი მილოცვითა და უზომო ხარჯების გწე-
ვით, როგორც მანენ ჩვეულება.“

ხალხის გასაქირს ვერც ამან უშველა. გორვან-
ქა შაქარი 40 კაზ. ვახდა, ნავთი ორი შაური, მა-
რილიც ერთი ორათ გაძვირდა. სწორეთ ამ დროს
შეეძინა ადგილობრივ მღვდელს სერაპიონ დათვა-
ძეს მეკამეტე ქალი და უზომოთ მზიარული ოჯახი
დიდებული ნათლობისთვის გაემზადა. მოწვევის ბა-
რათები უკვე მზათ იყო, რომ მამსახლისმა ანდრო
ქურდაძემ, მოაწვია ყრილობა, რომელიც შესდგა
1915 წლის 9 იანვარს.

ყრილობამ იქონია მსჯელობა ნათლისღების შესახებ და დაადგინა: „მოისპოს უზომო ხარჯი აღნიშნულ ღვდელდ—მოქმედების დროს, როგორც მაგნე და დღევანდელი მომენტისთვის შეუფერებელი.“ ხალხი დიდის აღტაცებით მიეგება ამ დადგენილებას და შეჰფიცა მისი სასტიკათ დაცვა.

გასაქირი კი საათობით იზრდებოდა. არშინი ჩითი, რომელსაც წინეთ შეიდ კავიკათ თუ არა, ორს სამ შურათ უთუოდ იშოვიდი, დღეს სამ აბაზათ ფასობს: სიმინდი ფუთი ორ მანეთად იყიდება, თუ გასაყიდი კი იშოვა დამშეულმა ოჯახმა. ზაფხული მინც აუტანელი შეიქნა. წარმოიდგინეთ ტყეშილიც კი ვაძვირდა, არა თუ ხეს ხილი. თავი ტარანა აბაზათ ფასობდა და ისიც ისეთი ტარანა, რომელითაც სხვა დროს კატას აქყავლებდენ. პეტრე-პავლობა კარს იყო მომდგარი და სოფელი ბოხის ეკლესია დღესასწაულისთვის ეშადადებოდა.

26 ივნისს მოულოდნელათ მოწვეულ იქნა სოფლის ყრილობა, რომელმაც ერთხმით დაადგინა: „მოისპოს პეტრე-პავლობის დღესასწაული, როგორც მაგნე ჩვეულება და იუწყოს სტუმრათ გამაზადებულებს, რომ ტყეშილით ნუ შეიწუხებენ თავს, ვინაიდან ამ დღეს არც ერთ ბოხელის ოჯახში საილი არ გაკეთდება.

1816 წელი გაცილებით უფრო მწვევე გამოდგა, ვიდრე ორი წინანდელი. ოჯახში მუშახელი აღარ დარჩა. სიძვირემ იმატა, ფულის ფასი დაცა. ყველაფერი გაძვირდა, მხოლოდ ადამიანის სიცოცხლე ფასობს გროშითა“ სწერდენ ეურნალ გაზეთები.

სოფ. ბოხის მცხოვრებნი ენერგიულათ ებრძოდნენ ცხოვრების უკუღმართობას:

მოსპეს: ახალი წლის, 330-ლიერის დღესასწაულები.

უმთავრესი დაბრკოლება ეს აღდგომა იყო და მასთან შეკავშირებული „პასკა“ და აი, 7 აპრილს 1916 წლისას შესდგა ყრილობა, რომელმაც დაადგინა: „მოისპოს მთელი მოწყობილობა, პასკით, წითელი კვერცხით, გოჭით, ინდოურით და ქათმით, როგორც მაგნე და დღევანდელი მომენტისათვის შეუფერებელი“. იმედია საზოგადოება მტკიცედ დაიცავს თავის გადაწყვეტილებას, მაგრამ როგორც ვხედავთ საქმეს ვერც ეშველის.

გაკვირება ისე იზრდება დღეებთან ერთად, რომ გორც დღევანდელი ოში. არ უნდა მასკარტ ახლი და არც შორეული ბოლო. ამიტომ ს. ბოხის მამა სახლისმა კვლავ მაანდინა ყრილობა 13 აპრილს და კრებამ დაადგინა:

„თუ ცხოვრებამ ამ გზით იარა, როგორც დღეს მიმდინარეობს საქირო იქნება. ზოგიერთა მანე ნე-ჩვეულებათა უარყოფა. ეს ნე ჩვეულებანი განიყოფებიან კატეგორიებათ. პირველათ მოისპობა:

- 1 ვახში, როგორც ზედმეტი ხარჯი.
- 2 თეთრეულების ხმარება, რომელსაც მევირსაპონი სქირია.

3 ავთმყოფობა და თუ უფისობა არ იქნა, წამლის ხმარება უსათუოდ.

4 ავთმყოფთან სანახავათ მისვლა.

5 ყოველგვარი სტუმრობა.

თუ ამნაც საქმეს არ უშველა მაშინ განზრახულია მოისპოს:

- 1 საილი.
- 2 საუზმე და ზარმელი (სამხარი)
- 3 ტანისამოსი საზოგადოათ
- 4 სიარული, რათა ფეხსაცმელი არ დარჩეს საქირო.

5 ქორწინება საზოგადოათ.

6 ყველა უქმე და საქმის დღეები.

და თუ ამ ზომამაც არ გასჭრა, მაშინ ს. ბოხში განზრახულია კოოპერატიული ლუქნის დაარსება.

მორიელი.



ფუტურისტული

მანწით ცისფრით ვაღდგებრძელემ,
 ახლად გამოჩევილ გმირებს.
 ახალს ვუძღენი ამოსახსნელს
 გამოფუტურებულ პირებს,
 ზეკაცები მოგვევლინა
 ვინ გაზედავს მათზე ძვირებს.
 ირწმუნება კრიტიკოსი,
 რომ ვერა სჯობს რაში ვირებს...
 რა ჰქნან რომე ბეთხოვენი,
 მათთვის მხოლოდ ყრუი არი,
 არავინ სჩანს მათი სწორი,
 შექპირსაც კი უთხრეს უარი.
 ლანდათ უჩანთ რუსთაველი,
 დანტეს მიუხურეს კარი,
 ნიკი მაგათ დაელოცათ,
 მალე ნახათ თუ ვინ არი.

აიწოკ.



ქეთო და მარიამი.

რად მემართება ნეტავ ეს?

ყველაფერ საქმეში გულადი ვარ, გამზედავი და მამაცი, მაგრამ კოპწია არსებებისთან რომ მომიხდება საუბარი ჩემი გული, ფიქვის სანთელივითა დნება.

აი, ახლაც ასე მემართება: ახალგაზრდათა სოზოგადოებაში ვარ და ბანქოსა ვთამაშობ. ჩემს პირდაპირ ერთი გოგონა ზის, ქერა თმიანი, ტუჩებ პატარა, კრულ თვალები და წარმტაცათ მომღიმარე, ასეთივე გოგონა ზის გვერდით, მხოლოდ მის შავი, შავი, ნაპერწკლების მფრქვეველი თვალები აქვს. ახალგაზრდა გოგონები სხვაგვარად არიან, მაგრამ ეს ორი ყველაზე უკეთესია.

მოდინ და გული მაგრად შეინახე!
 ახლა გკითხავთ: რა სასწაულით შემოძლიან ბანქოში მოგება? რასაკვირველია, არა ბუნებრივი ძალით, თორემ ჩემი ბუნებრივი ძალები ბანქოს თამაშს ვერას გზით ვერ წაიყვანს ჩემს სასარგებლოდ.

— ბანქოში აგებთ, მაშასადამე სიყვარულში მოგებული იქნებით.— შავ თვალა გოგონა ამას მეღონება და თან თვისი კოპწია ტუჩებით იღიმება. ოხ, მარიამი!..

— შენს ღმილს ვენაცვალე—ამას ვფიქრობ. მაგიდას მეორე მხრიდან მიღიშის მომხიზლავი ქეთო! რომლით დავსტკებ? რომელს ვუყურო?

— ბიჭო, როგორ დიუღაპიასავით დააღე პირი და ვაფშემი! დაარიგე, რაღა, ბანქო—რა ცუდი ენა აქვს ჩემს მეგობარ მიხილსა! განა მოსაწონი ვიქნებოდა ქეთოსა და მარიამის თვალში მისი სიტყვები რომ ხმა მალღე ყოფილიყო წარმოთქმული?

ოხ! ვილაცამ ძალზე დამაქირა მაგიდის ქვეშ ფეხზე ფეხი... შა, დავიკირე ცუდლული! ფეხი ქალისაა. ქეთოსი თუ მარიამის?

— ქეთოსია!

ფეხები საუბარში გაერთენ, თვით ქეთო კ ისე იქცევა, ვითომდა ფეხი მას არც წამოუღია სახლიდან. რა ეშმაკი ხარ, რა ეშმაკი პატარა ქეთო! ეს ვილას ფეხია, რომ შემოგვიერთდა? მარიამისა!

ჩემმა ფეხებმა აღარ იციან რა ჰქნან, რადგან ჩვეულნი არ არიან ორ უმანკო არსებისათან საუბარს.

რომელი სჯობია სიღამაზით?

ქეთო თუ მარიამი?

ქეთო...

არა მარიამი...

ქეთო, ქეთო...

მარიამი...

არ ვიცი...

ქეთო, მარიამი! ქუე-გონება დამენა, არ ვიცი რომელი უფრო კარგი ხართ!

— მიხილო, რას ჩამაცივდი, კაცო, რა ბანქოს თამაშის დარდი მაქვს.

ქეთო და მარიამი იციან, ხარხარობენ. ზეტიტრო, რა კარგია მათი სიტყვით თითქმის მარგალიტებს ისვრიან ზაგეთავანო...

გუგული.

საპირიასხმოვლო კლვანი საჩხერლეხს.

„ლიამს“ „კორდის“ ტყუილებსა
 „ბეკიამაც“ დაუმატა
 და მათდამი თანაგრძობა
 მან იმითი გამოხატა.

რომ „სახალხო ფურცელს“ ტყვილი
 ხელოვნურად შეაპარა
 და მით კორდის ნათლულეობი
 გააცინა, გაახარა.

ამ ხერხით და თვალთმაქცობით
 ჩაერია იმათ ბრბოში,
 რომელთ სექმე საგმირონი
 უნდა დავგმობთ ჩვენ ამ დროში.

იმათი წრე იხრია,
 მთავარსარდლობს რომელს სისო,
 და ფეხებზეც არ ჰკილიათ,
 კირ-ვარამი სადღეისო.

„ბეკია“ რომ ამით დასში,
 სამუდამოთ ჩაეწერა,
 აღტაცებით მიეგებენ,
 „ორპირული“ სთქვეს სიმღერა.

რა „ბეკიას“ თავ-განწირვა,
 მოახსენეს მთავარსარდალს,
 დიდათ უქო ვაჟკაცობა,
 და შეპირდა ხახვის მენდალს.

ბრძანა: „უნახავ გამარჯვებს
 შემით ჩემი დასისო,
 აი მაშინ გიწყალობებ,
 ყელის მენდალს პრასისსო“.

მთავარსარდლის ბრძანება, რომ
 „ბეკიჩელამ“ მოისმინა,
 გრძნობამ გული აუჩუყა,
 ბეგრი ველარ მოითმინა,
 ორი ცრემლის მარგალიტი,
 თვალებიდან გადმოღვივრა,
 სამუდამო ერთგულების,
 ნიშნათ თავი მოიხარა.

მიულოცეს ბელადობაც,
 ჩააბარეს შავი დროში,
 თუმც „ბეკიას“ მტერ-მოყვრობა,
 არ ღირს არცა ერთი გროში,
 რადგან, ვატყობ, ეს ბატონი
 ყველგან ფლიდობს, ყველგან სტყუა,

სჩანს ამ ფარგალს ვერ შესცდება
 მისი აზრი, მისი კჳუაჳა

და, რაკი მან სიმართლისას
 გზა სიტყუის ამჯობინა,
 მით ბანაკში მოიპოვა,
 შესაფერი მყულრო ბინა,
 დღეს მათ შორის დამწვიდებით
 განისვენებს მზგავსთა თანა,
 ღმერთო! ყველას აგვაშორე,
 ცრუ და ფლიდი ამისთანა!

ამ ნაცარ მქვეთ ბრბოთა წრეში
 პოლიცარე ტურა-მელობს,
 ცხადათ ხელდავ მათ სიყაღბეს,
 მაგრამ სიტყვით სხვაფრივ მსჯელობს.
 და მიტომაც ხშირათ იგიც,
 აღიარებს თეთრსა შავათ,
 ან კი რა ქნას, სხვა გზა არ აქვს
 მას ეთიკის დასაცავათ.

რადგან სიტყვა ვერ მოვძებნე
 მისი ტიპის შესაფერი,
 იმ ერთ წვეგრზე ვერას ვამბობ,
 თუმც იმაზე მიღგა ჯერი.
 თანაც ვშიშობ მის შესახებ,
 არ წამომცდეს სიტყვა ცუდით,
 ვიტყვი მხოლოდ, რომ ამ წრეში,
 იმას სთვლიან „სისოს კუდათ“

ზედმეტ სახელს უწოდებენ
 თავხელსა და მეტიჩარას,
 ესეც კმარა, გაფუშდები,
 აღარ ვიტყვი სხვას აღარას.

თუმცა მსურს, რომ მე ამ გაბუფის
 სრული სია შევადგინო,
 მათზე მჯავრის დასადებათ,
 ბატონს ეშმაკს წარუდგინო,
 მაგრამ რა ვქნა, ამ სიაში
 ვერ აღენიშნავ ყველას სახელს,
 და სჯობს ლექსი დავასრულო,
 აჲ კალიმასაც გაუშვებ ხელს.

შუშუა.



„მშაპის მათრახის“ რედაქცია მწუხარებით აღნიშნავს, რომ ამ ნომრისთვის დანიშნული სურათები უკვე დღეების გამო ვერ მოეწერა.

გურული სცენა.

(სასაზღვრო)

დადგა ვენების კვირე თუ არა, შემოიხა ჩემი კნენინა, ვოლინკე: ამ სააღდგომოთ ნებრემენათ უნდა ვეზიაროთო. ქალო, დამანებე თაგი მეთქი, საზიარებლად აგერ კვირკობისთვეში რომ გამოგვევა ხევის მაშინ მევიტკვიით და ზიარებაც მაშინ გვინდა, თვარა ახლა კილომ ქე გვაქ რაცხა პიწი, სასიმიანდღეშითქვა. ვინ დავიჯერო. არ მომცა საშველი, ძალათაი წამათრევდა ვიკოლი. ჩათრევას ჩაყოლა ჯობიოთ გამიგონია, ავდექი და წვედამსამზაბათს ხუცესმა გამოგვიცხადა: შვილებო, აგი უბედურება ხომ გვადგანა თავზე, აგი ჩვენი ურწმუნობის ბრალიო, დიდი ცოდვები გავწევს კისერზე და მონანიება უნდა, თვარა დვეღუშეთ კაცოო. (გულში ფიქირე, შენდონი ცოდვა ერთად თელ შენ მრევლს არ ექნება, შენ წვერ გასაპარცაგო მეთქი), ვილოცოთ გულმზურვალეთო, სუფთად იყავით ამ კვირებში, ტანისამოსი სუფთა ჩიიცით, ძველი იყოს, ოღონდ გარეცხილი და სუფთაო, ახალი ტანისამოსი და პოწოლითი არ არის ამ კვირეში საჭიროო, გიცხონდა მაჰა, ვამბობ გუნებაში მაგი არის ჩემი საქმე, ნეტაი ახალი ტანისამოსი სულ არ იქნებოდეს საჭირო, მაშინ თავამათ გვევიარ ამ ჩემი დაკონკული კასტუმით მეთქინ. შინ რომ მივბრუნდეთ, ვოლინკამ მითხრა: ტანზე გვიძვრე ყოლიფერი, უნდა დავიერცხო, ხომ გვიგონე რა თქვა ხუცესმაო. რა გვეძირა შიშველი ხომ ვერ ვიარ მეთქინ, გამოსაცვალი არაფერი მაქ და ტანზე თუ შამომარტვი არ ვიფივი, მარა ცხელი წყალით არ მომდგინო, ცხვი წყალით გარეცქე თქვა.

— შენ საწყალო, მაგის მეტი მოფიქრება რეიხა არ მოგცა ღმერთმა, გვიძვრე ტანზე და შეწვევი შიშვლით ლოგინში და იყავი ხვალემდი, იძინე რა გენადღვლებო.

— რავა რა მენადღვლება ქალო, ათასი სამუშეირი ამქ. სამუშეირს კაი, თუ გინდა გადავდობ, მარა

რომ ვინმე მევიდეს, არ გავლენა გეყენებ დაწვინა აი კაცი ამ შვალღზე ლოგინშიო.

— რა გეკითხავნე, მე ვეტყვი პაწე ავთ გახთა რაცხა მეთქინ. შენთან რომ მოვიდეს, აკრუხუნდი ვითომ მართლა ავთ ხარ ვათვდა და მორჩა, ქე მაჯობა ქაღმა მოფიქრებით. ვასაქანი არ იყო, გვიძვრე ყველაფერი ტანზე და შეწვევი ლოგინში. გულსუა ხელი და უცებ გარეცხა ჩემმა ვოლინკამ სარეცხა—და ვაკიდა ლობრის სარებზე... არა, ბეჩა ასე მალე რაფერ გარეცხე მეთქი. მე შენ საწყალო არ მამავსებ, თვარა გოროცკოი პრაცასაც კი ვჯობვარო. იმ ღამეს ვამარა ლამაზათ ტანისამოსი, დილას ჩვეცხვი და ლოცვაზე წვედელი... წითელი პარასკევს აღსარება ჩამოჯვართვა ხუცესმა. შემიყვანა საკურთხეველში, დამაჩოქა უჩინიკით, მითხრა: შვილო, აქანი რასაც გეტყვი, ყოლიფერი სანამუსოა, არსათ არ თქვაო, მართლა მეც ქე ვიცი აგი, არსად არ უნდა თქვა, მარა, ამას აგერ ვამბობ ჩემდა, კო არავის ვეუბნები. ვამოკითხა ბევრი ცოდვები, ბოლოს მითხრა. სხვისი წანადღეტწანადღეჯლი თუ გიცხვრიათო, ღმერთმა დამიძვიროს მაშინ მაგისანე საქმიდან მე მეთქინ... მაგაზე ნუ მიღვება საქმე მამაო, თვარა წანადღეტით შენსავით..... გარუმდი შენ ცოდვილო, ცოდვას ცოდვაზე უმატებ, თუ ინანიებო, გამაწყვეტია ხმაი... არა, კუქი ნუ კი მოგივა, აი, აგერ არაკაცი რომ არ გვიყურებს მამაო, იძიხა გითხარო, თვარა ხალხში რავა გეტყვი მეთქინ... არა, აღსარებას შენ მართუმ თუ მე უნდა ჩამოგართვაო... კაი, გავტრები. დიდშოფასს ვეზიარებ მე და ჩემი ვოლინკა... მიმოლოცო: ბეჩა ღმერთმა წაგაყენოს ზიარება, მრავალი წელიწადს ვზიარე კილომ. შენც ჩემო ვოლინკა მეთქინ, ღმერთმა ბევრჯერ გაგხადოს საზიარებლათ მეთქინ. აგი, რა თქვიო, შამომიკლაპუნა, მწყველი თუ მოლოცაგო. უკაცრავათ სიტყვაში შემცდა მეთქინ აბა ახლა პაწი შევემზადოთ ხვალისა, დაქცულნი დროთა კაი, მარა, აღდგომა არის, რაც უნდა იყოს მეთქი... კვერცხი შევღებეთ ისე, ჩოულობიხა ისე კაკალი... ვაი, დედაო, რა დროი დაგვეუღა! რაფერ მიხაროდა აღდგომის მოსვლა! ახლა გულს მაქ მოქუქილი. გვეონდა ერთი მტებლობა დაცეკვა-თამაში, პურით და რა ვიცი... კვერცხებს სამ კეკალს კი არა, ასი არ მეყოფოდა... მე ვსუბავდი ჩემი ხელით, ქე მქონდა ხელის ფრჩხილები პერსიანსავით წაწითლებული. ერთი პასკაც ღიქ



ს. გუბნი.

(შედატოკაურა მოფაფკოზა)

იქნებ გგონია ქალიბი,
მარტო ცეტობენ კულაში?
მოლი იმინე თუ დრო გაქვს,
რა ხდება ჩვენსა უბანში!

I.

გოქიო მყავდა, იგი დავკალი, ერთი სიტყვით მე-
ვემზადეთ, რაც გვეწყობოდა ჩემს სიღარიბეს. ხვალე
საყდარზე ვერ წამულად მეთქინ ვუთხარი ვოლინკას.
რეიზა ბეჩიაო, მეთხანა... ტანზე აფერი მაკვია, ხომ
ხელავ, ხვალ ხომ არ არის მწუხარების დღეი ძველი
დალღეტილი და ნახევრათ შიშველი რომ გამოხდე
ხალხში მეთქინ... აბა, ღომი დამიშხადე და მე წა-
ვალ მარტო საყდარზეო. ღომი კი არა, მე ხვალე
„ავათ ვხდები“ მეთქი. რაფერ ავათ ხთებო, გეი-
ვირია. რაფერ, და შენ რომ მასწავლდე, ტანზე აფერი
მაკვია, მევიმიზეზებ ავათმყოფობას და შევეწობი
ლოგინში, თუ ვინმემ მიკითხოს ხვალე სახტარზე,
ავათ არის თქვა, უთხარი. სიცრუე უნდა მათქმეო
ამ ნახარებ ქალს აღდგომას შენ უბედუროვო.
აბა რა ვქნა მეთქი...

გათენდა ბრწყინვალე აღდგომა, პეტრი-
ელამ, ჩემმა მეზობელმა გადმომიძახა, არ მოხვალ
სახტარზეო? ქალმა დამუძახა, ავათ არის რაცხამ
შეაბუჟა ტანშიო... წირვიდან რო დაბრუნდა ვო-
ლინკე, პაწაი გამჯვარებული კი იყო, ღომი რომ
ვერ დავახედრე დაშუშებული, მარა ამხავი ქე მი-
თხრა მინც. ამისანა აღდგომა არ მომსწრია ჩემს
დღეშიო. უწინ რომ იყო სახტარი გატენილი, ახლა
ორმოცი ქალი და კაცი არ ყოფილა თლათ შით,
და ვინც იყო, იგიც დედაბერი და ბერიკაცებო.
აღარც მღოღკვა, აღარც ხალისიანი წირვა. ყველას
სახე უტროდა, და ღვდელიც მოწყენილი იყოვო.

იგი, ბეჩია იმიზა იქნებოდა მოწყენილი, რომ სა-
კურთხები, პასკეტი რომ იცოდენ უწინ, ზღობნები, იგი
არ იქნებოდა მეთქინ. პასკა სულ არავის მუუტანია
საკურთხადო. რას იზამ ბეჩია, ვოლინკა მეთქინ,
ვინის ბრალია ყოლიფერი, ვიღას სცალია აღდგო-
მიზა, ყველაყაი ჩხუბშია და დედაბერების და ბერი-
კაცების აღდგომა კაი შვილია... შიმშილით არ
ამოხთივოდენ სული თვარა, ვინს ძენ ჩივა მეთქინ.
ვააკვთა სადლიო და მომიტანა, ძან მადიანათ გია-
ხელი. გაცინა ჩემ ვოლინკას და თქვა: სასიკვტი-
ლო აფერი უჭირს ჩემს უნდოშს, ანეტრის მადა
ქე აქ კაიო. დღეს აღარაფერი თამაშობა არ არის,
არც ბურთი, არც ბუზიკა და არაფერი. ერთი ათა-
მლი მნახველი ქე მოვივინა, შევეტყვენ ჩემი ავათ-
მყოფობა... დღეს, გლახუნა ვიზიტათ უნდა მოვსუ-
ლიყავით, და ახლა ავათმყოფის სანახავათ მოვედი-
თო. რას იზამ, დრომა მეიტანა ყოლიფერი მეთქინ.
გუნებაში კი მეტინება. დეიქვს წროუნდელი აღ-
დგომა. დღეს და ხვალ კიღამ ვიქნები ლოგინში,
სამშაბათს ვუდღურთებ ყანაში.

ნუბა—შენ ჰე, მელოლვე, დაჰკარი ღოლი,
თავისკენ გვიწვევს ხავედის მოლი...
(ასე უყვარდა ცხონებულ ძველებს
აგრე აფენდენ ზეცაში ხელებს.)
კავალრებს ჩემსას, მოსწონთ ეს ასე,
მეც მისთვის ვინმე და დაგაფსე,
შენცა მერაღნევე, შენი არღანი
გადააბრუნე და ტკბილინი ხმანი,
გავერანებულ არეს მოჰჰინეთ
სული დამიტკბეთ და მომაღბინეთ,
მგონი მაკლია ერთი მაყარი?
ნეტავი გიფი, იღო სად არი?

კავალერი—იღომ და საშამ დასასვენებო
იზოვეს გზაში ნაძვის ხეები.—

ნუბა—მართლა? შეხედეთ ამ უბადრუტებს...
„სითრთა აფეტებს აღბათ ქაბუტებს...“

კავალერი—მეც ძლიერი მომწონს ნაძვის ძირები,
სადც ბიბინებს მოლი ხშირები,
მავრამ სად არის მზგავსი უბანი,
აქ ხომ არ არის აბასთუმანი,
ის ექვსი ძირი ნაძვის ხეები,
უქვე არს მათი დანაბები.

ნუბა—ნაძვი რათ ვინდა. როცა ქადარი
ეზოში გვიდვას, სამოთხის დარი,
აბა მელოლვეს, აბა პირი ჰქენ
ჩემი ძვირფასი სკოლის ბალისკენ...
(შევიდნენ კიდევ აურ ზაურით,
აიღეს სკოლის ეზო ხმაურით,
იხმობს „კოლეგებს“ საქეფოთათ,
მავრამ არავინ, თუმცა იწვოთათ,
არ ეკარება, და ჩვენს ნუბა,
თუმცე ორასს და გონი კი წაეჩხუბა,
დარჩა მარტოკა ყმაწვილთა შორის...
ისმის ხმა მხოლოდ არღანის, დოლის.)
ამ დროს, მოწაფეთ მთელი გუნდები

ან კიდევ ორი,
 მაშინ ჯანდაბას
 ტრფობის მოგონი!!
 ვერ გამიგია
 საქმე რაში,
 (წამდვილ გვიდგია
 ავი ჯინაში).
 სკოლის ვაცდენა
 ყოველ კვირაში
 და კავალრები
 სკოლის ბინაში;
 სამკითხველოში
 სიცილ ხარხარი
 როგორც „ზაკაში“
 მუღამ შხათ არი.
 (მოგავონდება
 მწვანე ბაზარი)
 ზრდილობის წვეთი
 კი არსად არი.
 არც ფბიზელსა ჰგავს,
 არც არის მთვრალი
 და ჩემის აზრით
 ასეთი ქალი,
 სატირალაი
 და შესაბრალო.

ს--ნა.

„სამშობლო განსაცდელშია“

ბ. ეშმაკო ბოდიშს ვიხდი თქვენს წინაშე, რადგანაც არ მინდოდა თქვენი შეწყუბება ამ დღესასწაულებზე, მარა რა ვქნა, იძულებული ვარ დავარდვია თქვენი მყურდობა, ვინაიდან „სამშობლო განსაცდელშია“. მპატიეთ! აი საქმე რაშია: 2 აპრილს დ. ზუგდიდში მოხდა ყრილობა მახრის მასწავლებელთა კავშირის განყოფილების დასაარსებლათ. და ჩვენც ბ. ეშმაკო, როგორც ზუგდიდელი „მამულიშვილები“. გეხალთ კრებაზე სრულის შემადგენლობით და შეუღლებით ჩვენს საქმეებს. ბევრი ვიყვირეთ, ბევრიც ვილანძღეთ და ბოლოს ჯერი მიღვა გამგეობის არჩევანზე. დიანს! გამგეობა, ჩვენებური, ლოთიანი, მამულიშვილური და სამშობლოსთვის „სუფრაზე და ყანწით ხელში“ თავდადებულად მებრძოლნი! აბა, ვისი გვეშინოდა? აკი

მოგახსენეთ, ბატონო ჩემო, სრული შემადგენლობით გეხალთ! ჰო, და სწორედ სუ. განსაცდელ მთელი მახრის ერთგულნი დარაჯნი: „სახალხოველინი“, „საქართველო“-„მეგობარ“-„ზვირთელები“, „ალში-ბაია-მიღვან-კვილია-ჟორდანიებიტურთ“ მასთან იქონიეთ სახეში, რაც ფრიალ საგულისხმოა, აქვე ბრძანდებოდა თითქმის ერთი თვალ-საჩინო ჩვენი ბელადთავანი ბ-ნი გ. ბურჭულაძე!! აი, ასე მშვენივრად ვიყავით გამაგრებული, მარა, ნუ იტყვიტ ჩემო ბატონო, ამ წყევლმა ხალხმა, რომელთაც „დარსელები“ თუ „ღემიკრათებიო“, რო ეცხიან, დასწყველოს ღმერთმა, სახელი არ მახსოვს, განა თქვენ უკეთ არ იცით ბ. ეშმაკო, რაცხა „თანასწორობაზე“ რო რაბალაკობენ; თქვენი ქირიმე!.. აი ეს, ბნელი ძალები მიუხედავთ ჩვენი სიძლიერისა, მაინც წავიდა ჩვენს საწინამდევლო... ოხ, ღმერთო ჩემო! რა მეტიჩრობა და სისულელე ჩაიდინეს!.. მარა, ვაი მათ დღეს, იცი ბ. ეშმაკო, რა ვქენით? რა და მიუხედავად სუსტი და უმნიშვნელო იერიშებისა, ჩვენმა ლაშქარმა გაიმარჯვა: დიდი ძალადობისა და უღლოიკობის შემდეგ ჩვენ ეს უბრალო მომაკვდავი სასტიკად დავამარცხეთ და გამოვვლით დარბაზიდან სრული გამარჯვებულნი. წარმოდგინეთ, არც ერთი მოკლული არც დაჭრილი და არც ტყვედ წყაილი ჩვენი ჯარიდან არ ყოფილა. ხოლო მოწინააღმდეგეთაგან კი ბევრი დარჩა ბრძოლის დარბაზში ე. ი. გამგეობაში დაჭრილ-დაბოცილნი. ასეთია მამულიშვილთა გამარჯვება. ან კი რას ვაწყობდნენ საწყლები?.. ჩვენ ერთი კაციც არ დაგკლენია, ხოლო მაგათ კი ბევრი დაუხოცეთ, საქმე თავზე მოვახვიეთ, ხოლო ჩვენი ლაშქარი კი საჩქარით დაუბრუნდა თავის წმინდა მოვალეობის ასრულებას: „კარტ-ნარტ-ყანწებს!“!.. ასეთია ჩვენი მღვდმარება დ. ზუგდიდში და უმორჩილესად გიხოვთ, ნაოდგომეგს მაინც შენი კურთხეული მათრახის კული დურიგოთ ღირსებისა და მიხედვით.

თქვენი ზუგდიდელი „ჭიჭიკიე“.



პროვინციაში.

დავეტოვე თფილისი, თანახმად შენი, დილა ეშმაკო, ფიცხელი მოწერილობისა, ვაგარდვი მეტრათ სქელი“ ფონტი თფილისის საღვურზე შეგროვილ მოსეირნე საზოგადოებისა, დიდი ვი-ვიგ-ლახით ავიღე ბილეთი და გავეშურე აყვავილებულ, ზურმუხტოვან მხარესაკენ, სადაც დღეს შეუპოვარი ბრძოლა; ბრძოლა უკანასკნელ სისხლის წვეთამდის, არის გაჩაღებული...

ჯერ კიდევ დამე იყო, როცა ლიხის მთა გადავხეი. შემცივდა. მალე დავეშვი რიონის ქალე-ბისაკენ და სიამითაც ამოვისუნთქე.

შენგან გარკვეული მარშრუტი მიღებული არ მქონდა და საგონებელში ჩავარდი.

რა ექნა? საით წავიდე! ვეწვია „სამაისო“ ქუთაისის თუ შავი ზღვის ნაპირებისაკენ ვავემართო? ბევრი გიფიქრე, ვამოვერკვიე მხოლოდ მაშინ, როცა, დღეს ყველასათვის ცნობილ სამტრედიის საღვურზე გაეჩნდი: ძალიან მინდოდა სამტრედიის გვირის, ფედერალისტთა სასახელი ლიდერის ბესარიონ ფარცვანიას ხილვა. ყოველი სურვილი ისე თქვენ ავსრულდებოდა, როგორც ეს მე ამისრულდა, ბუფეტის კუთხეში ვზვიარე, ვთვალერებე მომსვენლოთ და წამსვენლოთ. უცებ ბრახუნით გაიღო კბრები, შემოვარდა ვიღაც ამღვრეულის თვალებით, თმა აბურბუნული და პირდაპირ საგაზეთო შეიფისაკენ გასწია. იყიდა „აზრი“, საჩქაროთ ვადაათვლიერა, თვალები ვადააბრიამ-ვადამაბრიალა და მორთო ღრიალი: „თქვე, ასეთებო, ისეთებო“. ამ ამბავმა მე მეტათ გამავეკირვა. იქვე მდგომ მოხუცს ვკითხე.

— ვინ არის ის კაცი, ან რა აჯავრებს მას? მოხუცმა წყნარათ მიპასუხა:

— ნუ აქვეთ მას ყურადღებას, ეს ბესარიონ ფარცვანიას! ამ ბოლო დროს ევრე სჩვევია; თუმცა ჯერ ქვის სროლა არ დაუწყია, მაგრამ...

მოხუცი სიტყვებმა ჩემზედაც იმოქმედა და სრულიად დამეკარვა ყოველივე სურვილი სახალხო მასწავლებელთა საზოგადოების **ას მანეთიან საპატრიო წევრის** ახლო გაცნობისა.

სენაკში ვარ, საღვურდიან გამოვედი თუ არა, ვილაკები მომვარდენ. მტაცეს ხელი და უცებ დელეჟანში ჩამსვეს. მინდოდა მეყვირა, მაგრამ პირში ბურთი აღმომაჩა. დელეჟანი მიჭრის, არ ვიცი სად

მივეყვართ ან რა უნდათ ჩემგან. ვიფიქრე თუ მიტაცებენ და ჩემი გულისათვის შემავსებელ სასყიდლის აღებას ლამობენ შეთქი. ამაოთ, ძმებო რადგან კარგათ ვიცი, მე მისი ხასიათით. ერთად ერთი იმედი ისევ შენის მათარბის კულისა მქონდა. უკვე დავშვებდი. ჩემს მდგომარეობას ჩაუყვიერი, მიმოვიხედე გარშემო და დავინახე, რომ ჩემსავე მდგომარეობაში კიდევ რამდენიმე სხვაც ყოფილა. ამათ გამამხნევა. ძალა მომიმატა. მესმის რომ ჩემი მომტაცებლები რაც შეუძლიათ „ვა—რადს“ მღერიან. ბოლოს ჩვენც მოგვიბრუნდენ, ბურთი პირიდან გამოგვიღეს და ბილეთის აღება გვთხოვეს. ამ თხოვნამ სულ გამომამხნელა. ვკითხე:

— რის ბილეთი? რა ბილეთი? სად მიგყავართქო?

— როცა, ბატონო, თქვენ „ზუგდიდის“ პასაჟირი არა ხართ? მე აუხსენი, რომ აზრათაც არ მომსვლია ზუგდიდის წასვლა. მტაცებლებმა ერთმანეთში მოლაპარაკეს და ერთმა მათგანმა, სრულიად დამშვიდებულათ მიხრა:

— აწი მაინც გვიანა. ჩვენ „ზუგდიდში“ წამსვენლო ვეგვანეთ, მალე „ზუგდიდში“ ვიქნებოთ და იქიდან შეგიძლიათ საითაც მოგესურვებათ გასწიოთ.

ეს პასუხი სულ არ მიპიტნავა, მაგრამ ვატყობდი, რომ ჩემს პროტესტს და აღელვებას შედეგი ჩემთვის უფრო „სახიანო“ ექნებოდა და ბედს დაუ-მორჩილდი.

ზუგდიდში ვარ. ჯერ ათიოდ ნაბიჯიც არ ვაღა-მიღვამს. ორი მოხუცი მომიხალოვდა, ორთავებს სტანისლავას ორდენი აქვს. ვაპირებდი გვერდის ავლას, მაგრამ... ორთავემ მოწიწებით თავი დამიკრა. მეც ორათ ვავიღუნე. პირველმა დაიწყია.

— კეთილი იყოს ბატონო თქვენი ბრძანება სამეგრელოს სატახტო ქალაქში“.

მე იქით-აქეთ ვავიხედე, ვაქცევს ვაპირებ, ვატყობ ვგიან არის.

— სამეგრელოს სატახტო ქალაქის ზუგდიდის მოქალაქეთა მონდობილობით მდაბლათ თავს ვიკრავთ“. ისინიც და მეც სამათ ვავიღუნეთ. ორთა ტახტს ხანს ასე ვართ, შემდეგ ვანაგრბო:

— იმედი ვაქვს ჩვენი ქალაქის ჭერს ქვეშ, მე ზევით ვავიხედე, „არ მოგწყინდებათ“, ვაკვირდები დეპუტატის და გუნებაში ვფიქრობ.

— მართლაც, ძნელია ისეთ ქალაქში, რომელიც ასეთ დეპუტატის აგზავნის, მოწყენა. ბოლოს

აიდგანდაც ორი ხატი ხელში გააჩნდა და მოწი-
ვებით მომართვა. იძულებული ვიყავი გამომერთმია.
იქორავს ხელში, არ ვიცი რა ვუყო. დეპუტაციაც
აქაია. ჩაჩარდი საგონებელში, ვითა კამეჩი მო-
ყვში*, რაშია საქმე? გამოვიკითხე და შემდეგი ვა-
რეგ. თურმე დეპუტაციას ჰგონებია, რომ მე ზუგ-
დილის ეკლესიის აგებისთან რაიმე დამოკიდებულება
ქონდა.* ხატები პოლიციას შეუძენია და დეპუ-
ტაცია ვის აურჩევია ჯერაც არ გამოვიცა.

დაესვირნობ ბაღში დაღონებულნი. მოდის ვი-
ცაც, დაბალი, გადატყარაჭული კაცი. როცა გა-
სწორადი, არ ვიცი შეიძლება შენმა
შმაკო განგებამ, ქული მომხსენებია. მშვიდობით
ვივარე. მერე მითხრეს, რომ თუ მისთვის ქული არ
აგებდა, ახლა შენის აბანოში* იქნებოდიო.
შეკლდე ეშმაკო, ღვთის სამადლობლოთ პარაკლი-
თ მინგრელსკის ეკლესიაში გადავახსენებინე.

საღამოა, ვილაკამ მოჰკიდა ხელი და წამიყვა-
ნი. მივადექით დიდს თეთრ სახლს. ვარედან აწე-
თა ქართულათ: „ზუდ.“ ვიკითხე მითხრეს სასა-
რთლო არისო. შევედი. მასწავლებელთა კრება
ყოფილა. თავმჯდომარე ოქროს ხანჯლით და ნამ-
ვილ „კახიონი“ რეველვერით ეკითხება ერთ მას-
წავლებელს:


— „თქვენ რაზე ილაპარაკეთ?, ჯერ მომიყე-
თ რა უნდა თქვით და მერე მოგცემთ სიტყვის
მას. გადახედე კრებას. დიდძალი ხალხია. ქლი-
ცი ერთმანეთში ირევა. განსაკუთრებულ ყურად-
ღებებს ერთი ჯგუფი იქცევს, რომელიც თავმჯდომა-
რის მარცხნითა ზის. ამ ჯგუფში მხოლოდ ერთია
ცნობი სახე. ეს, ეშმაკო, ჩვენი გიგო ბურჭულაძეა
მასწავით ზის, თვალებს იქით-იქით აცეკვებს და
თუ კეთილად იღიმიება. „დიდი კულიანი ვინმეა, ეს
ბურჭულაძეა მითხრეს, „მხოლოდ მაგის იმედი აქვთ
დღის მამულის შეიღებლსო“, მარა იმედი გაუცრუ-
ვით. თავმჯდომარემ, ლამინჩელის გვირგვამ,
მზარისგან ცეკვა დიწყო და შესანიშნავათ დაა-
ხარაია (მოქმედებით) როგორ ამტკრვევ ურემს
სურები, როცა აქეთ-იქით მიიწვიან. „რეზულტა-
ტი“ ის იყო, რომ სასამართლოს მივიდა ცოტათი
მზარა და თავმჯდომარე კი გამეგობის წევრბა-
რის ცოტანასვით გაშავდა. ვერ უშველა გიგო ბურ-

ჭულაძემაც და მას ხომ კარგათ იცნობ ეშმაკო.
ზუგდილში კიდევ ბევრი რამ მითხრეს. შეგუძლია ამას
შემდეგ შეგატყობიებ.

შენი ქორალი.

უმავეთულო ტელეგრაფით ქუთაისიდან გამო-
მიძახეს. თურმე ამავე დროს იქ დრამატიულ საზო-
გადოების კრება ყოფილა. წამსვე იქ ვაჩნდი. დი-
დი ბრძოლაა. მთელი ქუთაისი აყრილა. კიტას თა-
ვი გამარჯვებული ჰგონია სახალხო უნივერსიტეტ-
ში მას თქმო მოსტენეს და აქ ფიქრობს ზარალის
ანაზღაურებას. აქაც ბევრი რამ ვნახე, ბევრი რამ
ვაგიგონე, მაგრამ ამას შემდეგში მოგახსენებ, ჩემო
ბრძანებულო.

შენი ქორალი.



სამეგრელო*.

პატარა ფოთი. პრატესტს უცხადებთ ბუტუნას
და მისს სააგენტოს ყალბ და უმსგავსო ცილის წა-
მებისათვის და სროლიად უდნაშაულოდ ჩვენი
სოფლის ქალი და ვაჟის გალანძღვისათვის. დიდად
ვწყუხვართ, რომ ბ-ნი ბუტუნა, როგორც ეტყობა
ადვილათ ხვდება მსხვერპლი ქუჩის ვაჟუნებისგან
მიწვდენილი ყალბ ცნობების. არც ერთი ცნობები,
რომელსაც ბუტუნას სააგენტო ეშმაკის მითრახის
მე-13 № ში ათავსებს, სიმართლეს ოდნავადაც არ
შეიცავს: მასწავლებელს სკოლაში არ აყენებენო,
სწერს ბუტუნა, ან რა დასაყენებელია ისეთი ხასი-
ათის კაცი, როგორც არის ჩვენი მასწავლებელი?
და თუ ჯერ ჯერობით ჩვენს სოფელში არის, ეს
ეს აიხსნება ჩვენის სულელობით და სენაის სიმა-

* ცხალია მათი შეხედულება დაფუძნებული ქართულ
ეზრებზე უპატრონო ეკლესიის ეშმაკები პატარაანთაზე.
ეშმაკი.

სწავლებლო საბჭოის გულშეუწყობით, რომლებმაც თანახმად ჩვენი თხოვნისა გადასწყვიტეს გადაეყვანა მაგრამ რაღაც მოსაზრებით ორი წელიწადი დაგვიანდა და საუბედურად დღესაც ჩვენთანაა. რაც შეეხება ფიზიკურ მალას ჩვენ მასწავლებლის წინააღმდეგ არ გვიხმარია. კემპარიტება გვიძულებს არ გავრწმუნდეთ იმ ფაქტზე, რომელიც მოხვდა, ჩვენი მასწავლებელი და ჩვენი სკოლის მზრუნველის არტემ ხოშტარიას შუა. მართალია სკოლის მზრუნველმა ფიზიკური შეურაცყოფა მიაყენა მასწავლებელს, მაგრამ ამაშიც, რასაკვირველია, როგორც თვითონ გაუჭირდა მასწავლებელი თავის დანაშაულში სკოლის მზრუნველი მართალია. ყოველ შემთხვევაში აქ მთელი ჩვენი სოფელი რა შაუაშია? 2) „სლვედელს ეკლესიაში არ აყენებნო“ მტკნარი სიცრუეა, პირიქით დიდად მოხარული ვართ, როდესაც გველირება ჩვენი მცხოვანი მოძღვარია, მაგრამ. სავალალოდ იშვიათად თუ ნახავთ ღვდელს

ჩვენი სოფელში რომელსაც ძალიან უნდა ასრულოს თავისი წმიდა მოვალეობა, მაგრამ ბელს უშლის სიბერე. 3, „ცოლქმარს ყრინა“ ჰმისი მაგიერ ეს უნდა მოვახსენოთ ბ-ნ ბუტუნას, რომ მსგავსი რომ ჩვენს სოფელში სრულიად არ მომხვდება. რაც შეეხება ზნეობრივ მხარეს, ამას ჩვენს ნაცნობებს ვანდობთ, დეე ჩვენმა ნაცნობებმა დასალონ მსჯავრი ბუტუნასი სააგენტოს საქციელს.

მასთან. მოგიხოვთ ბუტუნასაგან გამოქვეყნებული იქნას ის პიროვნება, რომელმაც ისარგებლა შემთხვევით და თავისი ცილისწამებით დროებით მიინტ გავგაშავა მკითხველ საზოგადოების წინაშე სოფელი პატარა ფოთის მცხოვრებ. გლეხების მიწობლობით ანდრო მესხი.

1916 წელი 5 აპრილი

*) წერილი უკველად იბეჭდება.

იყიდება გასული წლების ჟურნალები:

- 1) „შეპის მათრახი“ 1908 წ. 34 ნომერი 3 მ. 50 კ.
- 2) „ეშე. მათრახი“—1909 წლ. 34 ნომერი—3 მ. 50 კ.
ორივე წიგნი ერთად მშვენიერი ყლით ელირება—9 მან.
- 3) „მათრახი“ 1910 წლის 33 ნომერი—3 მ. 50 კ.

- 4) „აღმინახები“ 1909 წლის 10 ნომერი—50 კ.
- პროვინციაში მსურველთ გაგვზავნება ჩვენის ხარჯით ვინც წინ და წინ გამოგზავნის ფულს ან ფასდაღებით გაიწერს.
- ადრესი: თიფლისი, Типография Шрома, Теофилу Болквадзе.

ჟურნალ-გაზეთების კანტორა

„განათლება“

ჯერ-ჯერობით აგენტებს გავგზავნება შემდეგი გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „შეპის მათრახი“, „თემი“, „თეატრი და ცხოვრება“, ქუთათური „ახალი კვალი“, „კავკასიკოე სლოავი“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაქი“ და „ხათაბაღი“.

აგენტები ვალდებულია მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინდა-წინ გადაიხადონ. წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთები არ გავგზავნებათ.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: თიფლისი, почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

კანტორის ადრესი: ოლგინსკაია, № 6.



აღსასრული აღაშენის ტანჯვისა!

სუსუნათის წამლობა.

წ წელიწადი გავიდა, რაც ჩემი გამოგონილი წამალი „რაპიდი“ ვასაციდად გამოვიდა, სამკურნალო ბაბუოს ნებართვით № 1295, სუსუნათის წამლობისთვის, როგორც მაგარი, ისე ხრონიკულისა. ამ ხნის განმავლობაში „რაპიდი“-ს პრეპარატით ათასობით ავთმყოფი სრულიად განიკურნა, რომელთაგანაც სამდღობელი წერილები მაქვს. წამლობის ასეთი ნაყოფი უფლებას მიძღვეს, პრეპარატი „რაპიდ“-ი, როგორც ყველაზე არსებითი და სწრაფად მომქმედი საშუალება ამ სნეულებისა, ვურჩიო ყველას.

უკანასკნელ წლის დაკვირვებამ კვლავ დაამტკიცა, რომ „რაპიდ“-ის პრეპარატი წამლობის შემდეგ სუსუნათი რომ არ მორჩენილიყო ამისთანა შემთხვევა არ არის, ამისათვის გადაჭრით ვცხადებ, რომ რაც უნდა ხანგრძლივი იყოს ავადმყოფობა ჩემი გამოგონილი საშუალებით სამ კვირაში წამლობა საკმარისი სუსუნათის მოსარჩენათ, და „რაპიდ“-ის შემწეობით სრულიად მორჩენილად უნდა ჩაითვალოს.

მართალია, უკანასკნელ წლებში სუსუნათის (გონორეი) წინააღმდეგ ბევრი საშუალება გამოჩნდა, რომელნიც ჩქარა და არსებით განკურნებებს მპირდებოდნენ და ავადმყოფთ, შესაძლოა, გულიც გაუტყდა ამ წამლობის უნაყოფობით და სამართლიანად შეუძლიან ექვის თვალთ შეზხედონ ჩემს წამალსაც,—ამ შემთხვევაში ამითს ყურადღებას იმ გარემოებაზე მივაქცევ, რა ჩემი რწმენა „რაპიდ“-ის უტბობაში და ჩემი დაპირება ლიტონი სიტყვა რომ არ არის, ამის დასამტკიცებლათ ყველას, ვინც ჩემგან პრეპარატ „რაპიდ“-ის როს ორმაგ ფლაკონს (წამლობის მთელი კურსი) დაიბარებს, წამალთან ერთად ეგზავნება ჩემგან ხელწერილი, რომ უკეთუ არ მოარჩინოს, ფულს უკანვე დაუბრუნე.

ნიმუში ჩემის ხელწერილისა: „მე; ამისა ქვემოთ ხელისა მომწერილი, ამ ხელწერილს ვაძლევ ბატონს (ამას და ამას) იმაში, რომ მივიციდ რა მას ჩემი „პირად“-ის ორი ფლაკონი, სუსუნათის წინააღმდეგ, თავდები ვარ, რომ ოცი დღის წამლობის შემდეგ ეს სნეულება სრულებით გაქრება. თუ აღნიშნულ ვადაზე რომელიმე ლაბორატორიაში შარდის გამოკვლევის შემდეგ აღმოჩნდება განუკურნებელი, მაშინ ვალდებული ვარ რვა მანეთი დაუბრუნო“ (ხელ. მოწერი.).

ზემოდ მოყვანილ ცნობას, რომ ბევრს განკურნებულ ავადმყოფებისაგან სამდღობელი წერილები, გადაწყვიტე ჩემს განცხადებებში მოვთავსო ხოლმე ახალი მდლობის წერილები. ამ წერილების დედანი (აუარებელი) ჩემთან ინახება და ყოველი მსურველს შეუძლიან მათი ნახვა. წერილების სინამდვილეში თავდები ვარ, თუ რომელიმე მათგანი დედანს არ ეთანხმება, ვალდებული ვარ, გადავიხადო 1000 მანეთი რომელიმე საზოგადოების სასარგელოდ.

17. მ. ხ., ბ-ნო დელამურე! დიდად გმადლობთ თქვენი წამლის „რაპიდ“-ისათვის, რომელმაც ერთბაშათ ოქონია კარგი ვაფლენა. ძნელია განცხადების დაჯერება, მაგრამ თქვენი განცხადება კომერციული მოსაზრებით არა ყოფილა, არამედ ავადმყოფს განკურნებას ურჩევს, ამაში თვითონ დაჯერდნდი, განმეორებით ვიხდით მდლობას.

ნოგეორადი 14 მარტი, 1914 წ.

3. 5. 3. 5.

წამლობის სრულ კურსის, ორმაგ წყვილ ფლაკონის და კოლოფ პილულის ფასი ცხრა მანეთი. ვაგზავნი და ფასდაღებით ათი მანეთი. ფასდაღებით ვაიგზავნება მხოლოდ მაშინ, თუ ბედ წარმოადგენენ 3 მანეთს.

Съ требованіями и заказами обращаться исключительно кавказское отделение Московской Лабораторіи М. Деламури. Тифлисъ Эриванская площ. Пушшинская 3 отд. 9/м. верхній этажъ.

მიიღება ხალის-მოწევა 1916 წლისთვის.



ყოველ-კვირეული იუმორისტული გამოცემა

ეჭმაკის მატრასი

ჟურნალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებენ **ეჭმაკი და თაგუნა**, ხოლო გამოცემის საქმეს ა. გ. ბუკია.

ჟურნალის ფასი - 12 თვით 5 მ. ♦ 6 თვით 3 მ. ♦ 3 თვით 1 მ. 50 კ. ♦ 1 თვით 50 კ.

„შმაკის მათრახში“ დაიბეჭდება მხოლოდ იუმორისტული შინაარსის წერილები, ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, არაგები, შარადები, გამოცანები, ნაკვეთები და სხვა.

→ ჟურნალში დაიბეჭდება საერთაშორისო ომის ილიუსტრაციები.

რედაქცია სთხოვს ყველა თანამშრომლებს, მასალები გამოგზავნონ

ამ ადრესით:

Тифлиς *)

С. Р. Таварткиладзе.
Олгинская 6,
Почтов. ящ. № 96.

(ეშმაკის მათრახისათვის)



*) ეს ადგილი კონფერტუ მარკისათვის არის დანიშნული და გულმავიწყებს მოვავიწყებთ, რომ

→ უმარკო წერილებს რედაქცია არ დაიხსნის →